რეგიონების მიხედვით



საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ კითხვარის პასუხად მოგვაწოდა ინფორმაცია დანართის სახით – საქართველოს მოსახლეობის სტატისტიკა ასაკის, სქესისა და შრომისუნარიანობის მიხედვით (რაც კითხვარის მოთხოვნას არ წარმოადგენდა)[1].

უპასუხოდ დარჩა კითხვები იმის თაობაზე, **თუ მიმართავს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო რაიმე ზომებს ქალთა მონაწილეობის გასაზრდელად მცირე და საშუალო ბიზნესში; არის თუ არა რაიმე შეღავათები (კანონმდებლობაში, პრაქტიკაში) იმ ქალთა მიმართ, რომლებიც აპირებენ, წამოიწყონ საკუთარი ბიზნესი; არის თუ არა ამ მიმართულებით რაიმე სახელმწიფო პროგრამა; ეკონომიკური განვითარების სამინისტრო მხრიდან თუ ჩატარებულა ბიზნესის სფეროში ქალთა გააქტიურებისათვის რაიმე სახის აქტივობები და რა შედეგი მოჰყვა ამ ღონისძიებებს.**
ეკონომიკის სამინისტროს არ გააჩნია ქალ ბიზნესმენთა შესახებ ინფორმაცია, რაც მოწმობს, რომ სამინისტრო არ აწარმოებს ამ მიმართებით სტატისტიკას.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს

სტატისტიკის დეპარტამენტი

1995 წელს ქალთა IV მსოფლიო კონფერენციაზე შემუშავებული პეკინის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტმა შვედეთის სტატისტიკური ბიუროს მხარდაჭერით დაიწყო გენდერული სტატისტიკის, როგორც ახალი მიმართულების, დანერგვა. 1999 წლიდან დღემდე სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულია ხუთი სტატისტიკური პუბლიკაცია – "ქალი და კაცი საქართველოში".

გენდერული სტატისტიკის მოთხოვნა ჩადებულია სტატისტიკურ მეთოდოლოგიის შეძლებისდაგვარად ყველა მიმართულებაში. სტატისტიკური დაკვირვების ფორმების შეგროვება ხორციელდება კვარტალურად და წლიურად.

სტატისტიკის დეპარტამენტი დამოუკიდებლად, სტატისტიკის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებს გარეთ, **არ აწარმოებს** გენდერული მიმართულებით დამოუკიდებელ კვლევებს, რადგან საამისოდ არ გააჩნია ფინანსები.

[1] იხ. დანართი 5: საქართველოს მოსახლეობის სტატისტიკა ასაკისა და მოსახლეობის მიხედვით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროგრამის "გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში" დაფინანსებამ 2006 წელს შეადგინა 666.9 ათასი ლარი (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებმა – 91 ათასი ლარი), ხოლო საკასო ხარჯმა – 560.9 ათასი ლარი (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებმა – 91 ათასი ლარი). 2007 წელს აღნიშნული პროგრამის დაფინანსებამ შეადგინა 775 ათასი ლარი (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებმა – 175 ათასი ლარი), ხოლო საკასო ხარჯმა – 769.9 ათასი ლარი (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებმა – 175 ათასი ლარი). **2008 წლის აღნიშნული პროგრამა ბიუჯეტიდან არ დაფინანსებულა**.

კანონში სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ **გათვალისწინებული არ არის** ცალკე ქალთა ორგანიზაციების დაფინანსება. დღეისათვის საქართველოს კანონი "საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" **არ ითვალისწინებს** გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის შექმნას. შესაბამისად, არ არსებობს კონკრეტული ინსტრუმენტი გენდერული ბიუჯეტის შესამუშავებლად.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი **არ ითვალისწინებს** შემდეგ პარამეტრებს:

- ქალებზე (ქალთა საჭიროებებზე) მიმართულ ხარჯებს;
- საჯარო სექტორში თანაბარი შესაძლებლობების ხელშემწყობი ინიციატივების ხარჯებს.

დამტკიცებული ბიუჯეტი არ ითვალისწინებს გენდერულ შეფასებას.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ითვალისწინებს მხოლოდ სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის საჭირო სახსრებს და იგი ქალებისა და გოგონებისათვის ხელსაყრელ კატეგორიებად **დაყოფილი არ არის;**

გენდერულად დაცალკევებული (ქალი-კაცი) ინსტრუმენტით **არ არის შეფასებული** სახელმწიფო ხარჯების ის სფეროები, რომელიც ხელსაყრელია და შეესაბამება ქალთა და გოგონათა საჭიროებებს.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

კითხვარის გაგზავნის მომენტისათვის უწყება წარმოადგენდა სახელმწიფო მინისტრის აპარატს რეგიონალური მართვის საკითხებში, რომელიც ერთ თვეში გარდაიქმნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდ.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, სამინისტრო უმართებულოდ მიიჩნევს სამინისტროს შტატის დაკომპლექტებას გენდერული თანასწორობის საფუძველზე, ვინაიდან სამინისტროს მოხელეთა შერჩევა ხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით, ამდენად, **გენდერული ბალანსის პრინციპით კადრების შერჩევა არამართლზომიერი და სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია**. სამინისტრო მზადაა, შესაბამისი რეკომენდაციების არსებობის შემთხვევაში გაითვალისწინოს ისინი და გამოიყენოს მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში.

სამინისტროდან მოწოდებულ ინფორმაციაში უპასუხოდ დარჩა კითხვები:

1. **რეგიონალური პოლიტიკის განხორციელების ფორმატში რა კონკრეტული ღონისძიებებია გატარებული გენდერული თანასწორობის მისაღწევად (მიუთითეთ თქვენ მიერ განხორციელებული კონკრეტული აქტივობა და ან რეკომენდაციები; რა იყო მიღებული შედეგი)?**

2. **როგორია სამხარეო ადმინისტრაციებისა და, ზოგადად, ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურებში გენდერული თანასწორობის სურათი (გთხოვთ, პასუხები მიუთითოთ რეგიონების მიხედვით ცალ-ცალკე)?**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ჯანმრთელობის დაცვა

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, უწყება თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სამართლებრივი ნორმებით: კერძოდ, 38-ე მუხლით, რომლის თანახმადაც, საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. ასევე, კონსტიტუციის მე-14 მუხლით, რომლის თანახმად ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიური, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში მოქმედი კანონები და კანონქვემდებარე აქტები უნდა შეესაბამებოდნენ კონსტიტუციას, რაიმე სახის დისკრიმინაციული დებულებები გენდერული თვალსაზრისით საქართველოს სამართლებრივ აქტებში არ არსებობს; შესაბამისად, ქალისა და მამაკაცისათვის ჯანდაცვის სფეროში თანაბარი უფლებებით სარგებლობის უფლება უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს კანონებით "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ," "პაციენტის უფლების შესახებ," "საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" და სხვა ნორმატიული აქტებით.

სამედიცინო მომსახურების ხარისხი უზრუნველყოფილია საქართველოს კანონმდებლობით ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, კერძოდ: საქართველოს კანონებით "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ," "საექიმო საქმიანობის შესახებ," "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ," "პაციენტის უფლებების შესახებ" და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებებით. საქართველოში კვალიფიციური სამედიცინო მომსახურების კრიტერიუმებისა და ექიმთა პროფესიონალიზმის დონის დადგენის საკითხებს არეგულირებს "საექიმო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონი. კვალიფიციური სამედიცინო მომსახურების და ექიმთა პროფესიონალიზმის დონის დადგენა სახელმწიფო დონეზე ხდება ლიცენზირებისა და სერტიფიცირების გზით. რაც შეეხება დაზარალებულ პირთა კომპენსაციას, აღნიშნულ საკითხებს არეგულირებს "საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი".

მოქალაქის უფლებების დაცვა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, აგრეთვე მისი პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობა უზრუნველყოფილია საქართველოს კანონით "პაციენტთა უფლებების შესახებ";

დღეისათვის საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს კანონი რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ. საქართველოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტის პროექტი შემუშავებულია ჯანდაცვის სამინისტროსთან არსებული რეპროდუქციული ჯანმრთელობის პოლიტიკის სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელიც შეიქმნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 5 ივლისის ¹ 184/ო ბრძანების საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში განსახორციელებელ საკანონმდებლო ცვლილებებს და წარმოადგენს სახელმძღვანელო პრინციპებს,რომელიც დაეხმარება სამინისტროს, სხვა სახელმწიფო სტრუქტურებსა და

ორგანიზაციებს, მიაღწიონ დასახულ პრიორიტეტულ მიზნებს. ამჟამად სამინისტროში მიმდინარეობს აღნიშნული დოკუმენტის გადახედვა, რათა განხორციელდეს მისი ფორმალიზება. ასევე ოჯახის რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა ასახულია საქართველოს კანონებში "საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" და "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ."

პაციენტის უფლებების დაცვისაკენ მიმართული თითოეული კანონის შესრულებაზე მონიტორინგის განხორციელების მექანიზმი ჩადებულია თვით კანონში, ასევე აღნიშნულ მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო, რომელიც განიხილავს თითოეული მოქალაქის საჩივარს სამედიცინო მომსახურების ხარისხის საკითხებზე.

ორსული ქალების დახმარება სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილია "სამეანო მომსახურების სახელმწიფო პროგრამით," რომელიც მოიცავს ანტენატალურ მეთვალყურეობას (ორსულთა პატრონაჟი) და მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა მკურნალობას. გარდა ამისა, "სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამით" იფარება მშობიარობასთან დაკავშირებული ხარჯები 200 ლარის მოცულობით ყველა მშობიარისათვის და 400 ლარის მოცულობით სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთათვის.

შრომითი ურთიერთობები

"საქართველოს შრომის კოდექსის" მე-2 მუხლის თანახმად, შრომით ურთიერთობაში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური ან რაიმე გაერთიანებისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულების გამო. დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის პირდაპირი ან არაპირდაპირი შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, "საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პრიორიტეტულ მიმართულებებს განეკუთვნება: დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის დაცვა; ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარება; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაცია; ბავშვთა კეთილდღეობის ხელშეწყობა. აღნიშნულ პრიორიტეტთა განსახორციელებლად ბიუჯეტით გამოყოფილია შესაბამისი ასიგნებები პროგრამებისა და კომპონენტების დეტალურად გაწერილი თანხებით.

საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ საპენსიო დანამატების გაცემისას სამინისტრო ხელმძღვანელობს "შრომითი სტაჟის მიხედვით საპენსიო ასაკის საფუძვლით დანიშნული სახელმწიფო პენსიის დანამატის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 29 აგვისტოს №181 დადგენილებით. აღნიშნული არ ასხვავებს **ანაზღაურებადი თუ არაანაზღაურებადი სამუშაოს შედეგად არსებული სტაჟის პირობებს**. ამასთანავე, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 121-ე მუხლის შესაბამისად, სამსახურის სტაჟი შეიცავს: მოხელის, დამხმარე ან შტატგარეშე მოსამსახურის თანამდებობაზე სამსახურის პერიოდს; რეზერვში ყოფნის დროს; სწავლის პერიოდს, თუ პირი გაგზავნილი იყო სასწავლებლად დაწესებულების მიერ. დეკრეტულ შვებულებასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს "საქართველოს შრომის კოდექსი", ასევე "დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზის ჩატარების და საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესის შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის №281/6 ბრძანება.

<u>ქალებისა და მამაკაცებისათვის პენსიების არათანაბარი ოდენობით დანიშვნის შესახებ მონაცემები სამინისტროში არ არსებობს.</u>

<u>სამინისტროში არასოდეს ჩატარებულა რაიმე სახის კვლევა (სპეციფიკური, გენდერული) წინაალმდეგობების შესახებ კვალიფიციური სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით (მაგ.: ფინანსური პრობლემები, სოფლებში სპეციალისტების ნაკლებობა, არასაკმარისი ყურადღების გამოჩენა სახელმწიფოს მხრიდან ქალთა და მამაკაცთა სპეციფიკური დაავადებების მიმართ),</u> ***<u>რადგან, სამინისტროს ინფორმაციით, მსგავსი სახის კვლევების ჩატარება არ შედის უწყების კომპეტენციის სფეროში;</u>***

პენსიის მიმღებთა რაოდენობა სქესის მიხედვით			
რეგიონი/რაიონი	მამაკაცი	ქალი	კაცი
თბილისი	61 851	138 865	200 716
გურია	11 472	21 069	32 541
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო	5 506	9 377	14 883
კახეთი	30 438	51 824	82 262
იმერეთი	57 796	100 648	158 444
მცხეთა-მთიანეთი	7 789	13 745	21 534
სამეგრელო-ზემოსვანეთი	33 534	63 298	96 832
სამცხე-ჯავახეთი	14 313	24 278	38 591
ქვემო ქართლი	25 539	44 896	70 435
ჭიდა ქართლი	23 255	39 209	62 464
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	22 775	40 457	63 232
ზემო აფხაზეთი	87	225	312
სულ	294 355	547 891	842 246

პენსიის მიმღებთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში საქართველოს მასშტაბით



პენსიის მიმღებთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით



სამინისტრო არ ფლობს ინფორმაციას, როგორია შრომის თანაბარი ანაზღაურების რეალური პრაქტიკა; რომელ სექტორში უფრო ხშირად ირღვევა კანონით გარანტირებული თანასწორობის პრინციპი შრომის ანაზღაურების შემთხვევაში.

პირის სამსახურში აყვანის, შრომითი ხელშეკრულების დადების, შეწყვეტის ან მისი განახლების, შვებულების, ბავშვის მოვლისათვის გამოყოფილი შვებულების, ასევე, იმ შემთხვევებს, როდესაც შეუძლებელია პირის გათავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან, არეგულირებს "საქართველოს შრომის კოდექსი", ასევე კანონი "საჯარო სამსახურის შესახებ".

"საქართველოს შრომის კოდექსის" 36-ე მუხლის თანახმად, შრომითი ურთიერთობის შეჩერებისას დაუშვებელია შრომითი ხელშეკრულების მოშლა და იმ პირის სამსახურიდან გათავისუფლება, რომელსაც გარანტირებული შვებულება აქვს ბავშვის მოვლისათვის.

ასეთ ფაქტებზე მოქალაქეთა საჩივრები რეგულირდება "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით", რომელიც განსაზღვრავს ადმინისტრაციული წარმოების საკითხებს ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით. კოდექსი დისკრიმინაციის თაობაზე საჩივრით მიმართვის განსხვავებულ წესებს არ შეიცავს.

<u>შვებულების საკითხი</u>

"საქართველოს შრომის კოდექსის" 22-ე მუხლის შესაბამისად, დასაქმებულს შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მუშაობის თერთმეტი თვის შემდეგ, რომლის გაანგარიშების საკითხიც მოცემულია 26-ე მუხლში. ამასთანავე, კოდექსის 21-ე მუხლის თანახმად, დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს შვებულებით არანაკლებ წელიწადში 24 სამუშაო დღისა, ანაზღაურების გარეშე – არანაკლებ წელიწადში 15 კალენდარული დღისა. აქვე, შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს ამ მუხლით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული ვადები და პირობები, რომლებიც არ უნდა აუარესებდეს დასაქმებულის მდგომარეობას;

"საქართველოს შრომის კოდექსის" მე-19 მუხლის შესაბამისად, დასაქმებულს, რომელიც მეძუძური ქალია და კვებავს ერთ წლამდე ასაკის ბავშვს, მისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა დამატებითი შესვენება დღეში არანაკლებ 1 საათისა. ამასთანავე, ბავშვის კვებისათვის შესვენება ითვლება სამუშაო დროდ და ანაზღაურდება.

შენიშვნა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულება არ ანაზღაურდება, თუ საავადმყოფო ფურცლის დახურვის, ხოლო შვილად აყვანის შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან გასულია 6 თვე[1].

---

[*] არასრულწლოვანთა შრომის საკითხი უშუალოდ ჩვენი კვლევის თემა არ იყო, მაგრამ სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია საინტერესოდ ჩავთვალეთ და განმარტების სახით გთავაზობთ; "საქართველოს შრომის კოდექსის" მე-4 მუხლით აკრძალულია არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების დადება სათამაშო ბიზნესთან, ღამის გასართობ დაწესებულებებთან, ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქციის, ფარმაცევტული და ტოქსიკური ნივთიერებების დამზადებასთან, გადაზიდვასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად. ამასთანავე, აკრძალულია არასრულწლოვანთან, ასევე, ორსულ ან მეძუძურ ქალთან შრომითი ხელშეკრულების დადება მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების შესასრულებლად. 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ სპორტულ, ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფეროში საქმიანობაზე, ასევე სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად.

[1] სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდი www.ssa.gov.ge

საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს სტატისტიკური ინფორმაცია.[1]

სტრირებული და ბენეფიტის მიმღები პირების განაწილება სქესობრივ ჭრილში

რეგისტრირებულთა რაოდენობა საქართველოს რეგიონების მიხედვით



[1] სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდი www.ssa.gov.ge

ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისის მიმღებთა რაოდენობა საქართველოს რეგიონების მიხედვით



საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, უწყება მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადახვა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მათ შორის, გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით. ეს ორგანიზაციები სამინისტროს პერმანენტულად სთავაზობენ ტრენინგებს პოლიციელთათვის. საქართველოში გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის ინიციატივით დაფუძნდა "სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციელ ქალთა ასოციაცია". ასოციაცია აერთიანებს 90 პოლიციის ოფიცერს. გაერთიანების მთავარ მიზანს წარმოადგენს სამართალდამცავ ორგანოებში ქალთა პროფილის გაძლიერება.

ასოციაციის მიზნებია პოლიციელი ქალებისათვის დამატებითი ტრენინგების და სწავლებების განხორციელება, ადგილობრივ ორგანოებთან კოორდინირება და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების ხელშეწყობა. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ქართველ პოლიციელ ქალთა მონაწილეობა საერთაშორისო პოლიციელ ქალთა ასოციაციის კონფერენციაში კანადაში, სასკატუნში; საპატრულო და უბნის ინსპექტორ ქალთა მონაწილეობა ტრენინგზე ესტონეთის პოლიციის აკადემიაში; მონაწილეობა საგანმანათლებლო ტრენინგზე ქალთა უფლებების დაცვაში, რომელიც ჩაატარა შვედურმა არასამთავრობო ორგანიზაციამ "ქალები ქალებისათვის"; გამოცდილების გაზიარების მიზნით, გაცვლითი პროგრამით განხორციელებული ვიზიტი პოლონეთში; გაერო-ს პოლიციის მრჩევლებთან ერთად რადიოპროექტების შემუშავება; არასამთავრობო ორგანიზაცია "გამნათურის" მიერ ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების მოწყობა; არასამთავრობო ორგანიზაცია "გაენათთან"' ერთობლივი პროექტით რეგიონის 40-ზე მეტმა პოლიციის ოფიცერმა ქალმა უფასოდ შეისწავლა თანამედროვე უნარ-ჩვევები, კომპიუტერის საოფისე პროგრამები და უცხო ენა.

ასოციაციას აქტიური მხარდაჭერა აქვს სამინისტროს ხელმძღვანელობისა და უცხოური ორგანიზაციების მხრიდან.

<u>ტრეფიკინგთან ბრძოლა</u>

საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურების ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს დამნაშავეობასთან ბრძოლა და ადამიანის უფლებების დაცვა. ტრეფიკინგს, როგორც ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის თანამედროვე მაგალითს, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა შსს-ს მხრიდან. ამ მიზნით სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში ჩამოყალიბდა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან, ტრეფიკინგთან და უკანონო მიგრაციასთან ბრძოლის მთავარი სამმართველო. სამმართველოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტრეფიკინგის შემთხვევების გამოვლენა და გამოძიება, დამნაშავეების ან დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფების დაკავება, პრევენციული ზომების გატარება.

"სასაზღვრო პოლიციის" შესახებ კანონის მე-10 მუხლის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიცია უფლებამოსილია, გამოააშკარაოს და თავიდან აიცილოს ტრეფიკინგის შემთხვევები სახელმწიფო საზღვრის ტერიტორიაზე და ტერიტორიულ წყლებში. მესაზღვრეებს უტარდებათ სპეციალური ტრენინგები, სადაც სწავლობენ ტრეფიკინგის მსხვერპლთა შესაძლო იდენტიფიკაციას და საეჭვო დამნაშავეების ამოცნობის ტექნიკას. სასაზღვრო პოლიცია, შსს-ს სხვა დეპარტამენტებთან ერთად, არის მთავარი სტრუქტურა, რომელიც ამუშავებს "ეროვნულ რეფერალურ მექანიზმს". როდესაც ტრეფიკინგის სავარაუდო

მსხვერპლი ამოცნობილია, მას ათავსებენ სპეციალურ ადგილას, სადაც ის ელოდება სპეციალური მობილური ჯგუფის გამოჩენას იურიდიული კონსულტანტის და ფსიქოლოგის შემადგენლობით. იმ შემთხვევაში, თუ ტრეფიკინგის ფაქტი დადასტურდება, სავარაუდო მსხვერპლი გადაჰყავთ სპეციალურ თავშესაფარში, სადაც მას უწევენ უფასო სამედიცინო და იურიდიულ დახმარებას.

შსს-ს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში შექმნილია სპეციალური სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია მოწმეთა დაცვასა და პიროვნებების მართლმსაჯულებასთან თანამშრომლობაზე. ამ სამსახურის დახმრებით მუდმივად გამოიყენებოდა სპეციალური დამცავი ზომები, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა სამუშაო შედეგებზე.

ტრეფიკინგის საკითხებზე პასუხისმგებელი ორგანოები ინფორმაციას აგზავნიან შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში, ამ დეპარტამენტს აქვს საინფორმაციო ბაზა, სადაც თავმოყრილია ტრეფიკინგთან დაკავშირებული ინფორმაცია.

საქართველოს კანონი "ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" ითვალისწინებს პრევენციულ, დამცავ და საგამოძიებო ღონისძიებებს. კანონით გათვალისწინებული ზომებისა და მექანიზმების იმპლემენტაციის უზრუნველყოფის მიზნით, პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული "ტრეფიკინგის ეროვნული სამოქმედო გეგმა" განიხილება და განახლდება წელიწადში ორჯერ. გეგმით გათვალისწინებული პრევენციული ზომები ყურადღებას ამახვილებს ტრეფიკინგის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე მოსახლეობაში, სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი მეთოდების შესახებ ტრენინგის ჩატარებაზე, მოზარდებისათვიხ პროგრამების შემუშავებაზე და ა.შ. მსხვერპლთა დაცვის ზომებით გათვალისწინებულია ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის კანონიერი მექანიზმების გაძლიერება, ეროვნული რეფერალური მექანიზმის გაზრდა, ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფრის ქსელის განვითარება, ტრეფიკინგის მსხვერპლთა ნებაყოფლობითი და უსაფრთხო დაბრუნება და მათი სრული რეაბილიტაცია. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს დანაშაულის უფრო ეფექტური გამოძიების ზომებს და ამ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაზრდას. სამოქმედო გეგმა აგრეთვე მოიცავს საქმიანობის ეფექტური კოორდინაციის ზომებს, ისევე, როგორც სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურების ერთობლივ თანამშრომლობას.

საქართველოს პრეზიდენტმა 2006 წლის 1 სექტემბრის ბრძანებულებით ჩამოაყალიბა მუდმივი სამთავრობოთაშორისო საკოორდინაციო საბჭო. საბჭოს აქვს ორმაგი ფუნქცია: 1. მუშაობს, როგორც საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი ორგანო, ტრეფიკინგთან დაკავშირებულ საკითხებზე რეკომენდაციებს გვთავაზობს; 2. ეს არის ორგანო, რომელიც საქართველოში ანტიკორუფციულ ძალისხმევას უწევს მონიტორინგს. საქართველოს მთავრობასთან ერთად ეროვნული არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები აქტიურად არიან ჩართულნი საბჭოს მუშაობაში, გადაწყვეტილების მიღების პროცესის ჩათვლით.

ამგვარად, მთავრობა, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოში ახორციელებენ ანტიტრეფიკინგის მონიტორინგის ეფექტურ მექანიზმებს, ისევე როგორც რელევანტური ინფორმაციის გაცვლასა და გამოცდილების გაზიარებას სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის.

1. რა ინფორმაცია არსებობს ადამიანებით ვაჭრობის დანაშაულების შესახებ? რამდენი საქმეა აღძრული და სასამართლოზე გადაცემული?

2008 წლის მონაცემები ტრეფიკინგის დანაშაულთან დაკავშირებით:

ტრეფიკინგის დანაშაული სსკ-ს მიხედვით	143[1]	143[2]	143[3]	სულ
წინასწარი გამოძიება დაიწყო	27	7	0	34
ბრალდება წაეყენა	10	5	0	15
თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა	9	5	1	15

2008 წლის მონაცემები ტრეფიკინგის დანაშაულების შესახებ



ტრეფიკინგის დანაშაული სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით:

143[1]. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი),

143[2] არასრულწლოვანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი),

143[3] ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა და მისი შესაბამისი გრაფიკი





საქართველოს კანონმდებლობაში შესული სიახლეები მნიშვნელოვნად ზრუნავს ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის და რეაბილიტაციის საკითხზე, ამ მხრივ აღსანიშნავია რეფერალური მექანიზმის შემუშავება და საჯარო სამართლის იურიდიული პირის "ტრეფიკინგის მსხვერპლთა ფონდის" მიერ ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის თავშესაფრების გახსნა. აღნიშნული ფონდი ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მისი სახსრები მიმართულია ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების და სრული რეაბილიტაციისათვის საჭირო ღონისძიებების განსახორციელებლად. აღსანიშნავია, რომ თავშესაფარში მოთავსებული მსხვერპლი უზრუნველყოფილია სამედიცინო მომსახურებით, მათ შორის ფსიქოლოგის დახმარებით.

ტრეფიკინგის მსხვერპლად აღიარებულისთვის მოსაფიქრებელი პერიოდია 30 დღის ვადა სამართალდამცავებთან თანამშრომლობაზე დათანხმებისათვის.

საქართველოს საპატრულო პოლიცია

საპატრულო პოლიციის ინფორმაციით, ამ უწყების შექმნამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კრიმინალის პროფილაქტიკას და პრევენციას, ხოლო კრიმინალის არსებობის შემთხვევაში – სწრაფი რეაგირებით გამოძიების საქმის გამარტივებას. ამან გამოიწვია პოლიციელების მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლება და მათი რეიტინგი მნიშვნელოვნად გაიზარდა, რასაც, თავის მხრივ, მოჰყვა მდედრობითი სქესის მხრიდან პოლიციაში სამსახურის ინტერესი. თუმცა, ჯერჯერობით, დეპარტამენტში 2473 თანამშრომლიდან მხოლოდ 280-ია ქალი.

<u>ოჯახური კონფლიქტები და ოჯახური ძალადობა</u>

2006 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ "ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" კანონის მიღებას წინ უსწრებდა სამართალდამცავი ორგანოების ყოველდღიური ბრძოლა ამ პრობლემის გადასაჭრელად ისე, რომ ამ საკითხის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზა ფაქტობრივად არ არსებობდა და პრობლემასთან გამკლავება მთლიანად მათ პროფესიონალიზმსა და გამოცდილებას ემყარებოდა. კანონით მოცემული "ოჯახში ძალადობის" მკაფიო დეფინიცია ხელს უწყობს სამართალდამცავებს, მოახდინონ ადეკვატური და ეფექტური რეაგირება თითოეულ ფაქტზე. აქვე აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 11 სექტემბრის ბრძანებით დამტკიცდა შემაკავებელი ორდერის ფორმები, რომელსაც ამავე ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირები ადგენენ მოძალადის მხრიდან აგრესიის პრევენციის მიზნით.

2007-2008 წლებში შსს-ს საპატრულო პოლიციის მიერ საქართველოს მასშტაბით დაფიქსირდა ოჯახური კონფლიქტებისა და ძალადობის შემდეგი სტატისტიკა:

2007 წელს ოჯახური კონფლიქტის 2083 ფაქტი; ოჯახური ძალადობის 493 ფაქტი;

2008 წელს ოჯახური კონფლიქტის 2576 ფაქტი; ოჯახური ძალადობის 141 ფაქტი;



საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 24-საათიან სამუშაო რეჟიმში ფუნქციონირებს უფასო ცხელი ხაზი "022". აღნიშნულ ნომერზე მუშაობენ სპეციალურად დატრენინგებული ოპერატორები, რომლებიც სწრაფ და პროფესიულ რეაგირებას ახდენენ ნებისმიერი ხასიათის შემოსულ ინფორმაციაზე. ამავე სამსახურში ხდება შემოსული ზარების კომპიუტერიზაცია მათი შემდგომი დამუშავების მიზნით, აღნიშნული სახის ინფორმაცია მთელი საქართველოს მასშტაბით თავს იყრის შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში, სადაც ხდება მათი აღრიცხვა და ანალიზი.

პოლიციაში ჩასარიცხი მდედრობითი და მამრობითი სქესის კანდიდატები პოლიციის აკადემიაში თანაბრად გადიან სავალდებულო საბაზო კურსს. აღნიშნული კურსი მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სწავლებებს. ამავე აკადემიაში მიმდინარეობს მოქმედ პოლიციელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სწავლებები.

საბაზო კურსში გათვალისწინებულია შემდეგი საკითხების შესწავლა:

- ოჯახის წევრთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის, ოჯახური ღირებულებების დაცვის საკანონმდებლო გარანტიები, დამცავი და შემაკავებელი ორდერი;
- ოჯახში ძალადობის კომპონენტები;
- ოჯახში ძალადობის სავარაუდო შედეგები;
- ოჯახში ძალადობის გამოვლენა, აღკვეთა და თავიდან აცილება;
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა, დახმარება და რეაბილიტაცია.

<u>ოჯახური ძალადობის პრევენცია</u>

ოჯახური კონფლიქტის შემთხვევის ადგილზე გასული საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი, წინასწარ შემუშავებული ინსტრუქტაჟის თანახმად, ადგილზე ახდენს სიტუაციის მოკვლევას, სპეციალურ ოქმში ასახავს ვითარებას, კონფლიქტის მიზეზს, მოძალადის/მსხვერპლის ვინაობას, პირად მონაცემებს. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ოჯახის წევრების დაცალკევებას, ადგენს შემაკავებელ ორდერს მოძალადის მიმართ. შედგენილი შემაკავებელი ორდერი გადაეგზავნება სასამართლოს რომელიც 24 საათის განმავლობაში ამტკიცებს მას.

ოჯახში განმეორებითი ძალადობის პრევენციის მიზნით ოქმის ერთი ასლი ეგზავნება საუბნო სამსახურს, რომელიც, თავის მხრივ, ახორციელებს პროფილაქტიკურ სამუშაოებს პრობლემურ ოჯახებთან.

<u>ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლის სახელმწიფო ღონისძიებათა გეგმა</u>

მუშაობის უფრო ეფექტურად წარმართვის მიზნით, აღნიშნული კანონის საფუძველზე საქართველოს მთავრობის განკარგულებით დამტკიცდა ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების კონკრეტული ღონისძიებების სპეციალური გეგმა, რომელიც მთლიანობაში მიზნად ისახავს ოჯახური ძალადობის მაჩვენებლების შემცირებას, რაც, თავის მხრივ, რთულ პროცესს წარმოადგენს. აღნიშნული გეგმის ვალდებულების თანახმად, შსს-ს მიერ გამოცემული იქნა საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტები, რომლებიც დარიგდა საზოგადოებაში. საქმიანობის დახვეწისა და სიახლეების ეფექტურად დანერგვის მიზნით პერმანენტულად მიმდინარეობს სპეციალური ტრენინგები მიზნობრივი ჯგუფისათვის. ამ ამოცანის წარმატებით განხორციელება სამინისტროს მხრიდან დამატებითი ფინანსური ძალისხმევის გარეშე ხელს უწყობს შსს-სა და საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა.

<u>სიახლეს წარმოადგენს 2008 წლის 26 დეკემბრის პრეზიდენტის ბრძანებულებით შექმნილი ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი უწყებათაშორისი საბჭოს შექმნა, რომელიც კოორდინირებას გაუწევს სხვადასხვა უწყებების მიერ ამ სფეროში მათი ვალდებულებების შესრულებას. აღსანიშნავია, რომ ამ საბჭოს წევრია შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე.</u>

<u>სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულები</u>

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXII თავის თანახმად, მიკუთვნებული დანაშაულების გამოძიებას აწარმოებენ შსს სამმართველოები და მას დაქვემდებარებული დანაყოფები. ჩამოთვლილი ორგანოების მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ ცენტრალიზებული სისტემის მიხედვით ინფორმაცია თავს იყრის შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში.

სქესობრივ ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულთა სტატისტიკა

2006 წელი			2007 წელი		2008 წელი	
სულ		გახსნილი	სულ	გახსნილი	სულ	გახსნილი
232		149	212	142	188	122
მათ შორის გაუპატიურება	167	106	156	101	100	66

სქესობრივი დანაშაულები



გაუპატიურების შემთხვევები



იმდენად, რამდენადაც ომის დროს გენდერული ძალადობა განსაკუთრებით იჩენს თავს, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, ცალკე აღვნიშნოთ ომის პერიოდში და შემდგომ ჩადენილი გენდერული ძალადობის ფაქტები, თუმცა 2008 წლის აგვისტოს მოვლენები ცვალებადი ქრონოლოგიით მიმდინარეობდა, რაც გულისხმობს იმას, რომ მოკლე ვადაში გაუთვალისწინებლად იცვლებოდა ქართულ სოფლებზე საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ კონტროლის გავრცელებისა და ოკუპანტების ბატონობის პერიოდები. არსებულ მდგომარეობაში, როცა პარალიზებული იყო სახელმწიფო სტრუქტურების მუშაობა გარკვეულ ტერიტორიებზე, სამართალდამცავი ორგანოები, მიუხედავად მათი თავდაუზოგავი მონდომებისა, ვერ ახერხებდნენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე თავიანთი უფლება-მოვალეობების სრულად განხორციელებას. კონფლიქტურ ტერიტორიაზე დარჩენილი მოსახლეობის მიმართ მიმდინარეობდა და, სამწუხაროდ, ახლაც მიმდინარეობს ადამიანის უფლებების დარღვევა, მიუხედავად მათი სქესობრივი კუთვნილებისა.

სამართლის და ადამიანის უფლებების ნორმების დარღვევაზე რეაგირება კომპეტენტური ორგანოების ერთ-ერთ მთავარ ამოცანს წარმოადგენს ამ დარღვევების გამოვლენა და მათი დაუყოვნებლივ აღკვეთა. არსებულ ვითარებაში, მაშინ, როდესაც საქართველოს ტერიტორიები ჯერ კიდევ ოკუპანტების ხელთაა, ამის შესრულება მეტად რთულ საკითხს წარმოადგენს, თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, ქართველი სამართალდამცავები შეძლებისდაგვარად აგრძელებენ მათი საქმიანობის განხორციელებას და სხვადასხვა ფაქტებზე უკვე დაწყებულია გამოძიება.

2008 წლის განმავლობაში შიდა ქართლში ოჯახში განვითარებული ძალადობის მონაწილეთა სტატისტიკა:

ასაკი	მოძალადე		მსხვერპლი	
	ქალი	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი
სულ	3	39	34	8
16 წლამდე	0	0	0	0
16-24	0	3	5	0
25-44	3	24	21	4
44-ის ზევით	0	12	8	4

აღნიშნულ რეგიონში დაფიქსირებულია ძალადობის შემდეგი ფაქტები:



მოძალადე



მსხვერპლი



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის ინფორმაციით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოებში, საქართველოდან ევროპულ სასამართლოში გენდერული დისკრიმინაციის საკითხზე აღძრულ საქმეებთან დაკავშირებით **ინფორმაციას არ ფლობენ**.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტო

ბავშვის დაბადების რეგისტრაციის დროს, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ 2006-2008 წლებში რეგისტრირებულ დაბადების აქტის ჩანაწერთა შესაბამისად, არსებული ტრადიციისა და პრაქტიკის მიხედვით, უმეტეს შემთხვევაში ბავშვს ენიჭება მამის გვარი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბავშვი შეეძინება დაუქორწინებელ დედას და არ არსებობს მშობელთა ერთობლივი განცხადება ან სასამართლო გადაწყვეტილება მამობის დადგენის შესახებ (აღნიშნულ შემთხვევაში ბავშვს ენიჭება დედის გვარი). რაც შეეხება ქორწინების რეგისტრაციას, ძირითადად ქალი გადადის მეუღლის გვარზე.

2006		2007		2008	
სულ 21876 ქორწინება		სულ 25 925 ქორწინება		სულ 31 328 ქორწინება	
ქალი გადავიდა მეუღლის გვარზე	მამაკაცი გადავიდა მეუღლის გვარზე	ქალი გადავიდა მეუღლის გვარზე	მამაკაცი გადავიდა მეუღლის გვარზე	ქალი გადავიდა მეუღლის გვარზე	მამაკაცი გადავიდა მეუღლის გვარზე
4 406	77	4658	146	4 559	126

საქართველოში ქორწინებათა რაოდენობა 2006-2008 წწ.

გვარის შეცვლის ტენდენცია ქორწინებისას



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

სასჯელაღსრულების დეპარტამენტი

სტატისტიკური ინფორმაცია იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მსჯავრდებულთა რაოდენობის შესახებ

მსჯავრდებულები	2006	2007	2008
სრულწლოვან მამაკაც-მსჯავრდებულთა რაოდენობა	**1844**	**3091**	**2526**
სრულწლოვან ქალ-მსჯავრდებულთა რაოდენობა	**604**	**843**	**793**
არასრულწლოვან ქალ-მსჯავრდებულთა რაოდენობა (18 წლამდე)	**6**	**9**	**11**



სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის ინფორმაციით, საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ქალ-მსჯავრდებულთათვის სასჯელის მოხდის საშუალო ვადაა თავისუფლების აღკვეთა 7-10 წლით.

მსჯავრდებული ქალების დაახლოებით 59%-ის საქმე ჯერ კიდევ გამოძიების პროცესშია. სამწუხაროდ, შეუძლებელია იმის დადგენა, მსჯავრდებულ ქალთა რა პროცენტი გადაეცემა სასჯელაღსრულებით დაწესებულებებს სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის შემდეგ სასჯელის მოსახდელად.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ინფორმაციით, მსჯავრდებულ ქალთა დაახლოებით **10% უცხო ქვეყნის მოქალაქეა**, რომელთა **80%-ს ბრალად ედება ნარკოტიკების უკანონო მოხმარება-შენახვა**.



ქალ მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილ ძირითად თუ დამატებით დანაშაულთა პროცენტული მაჩვენებელი ასე გადანაწილდა:

ა. ქურდობა და ნაქურდალით ვაჭრობა – **30.8%;**

ბ. ძარცვა – **16%;**

გ. ყაჩაღობა – **9.2%;**

დ. ბანდიტიზმი – 0%;

ე. ნარკოტიკებით ვაჭრობა, მათი მოხმარება, შენახვა – **98%;**

ვ. თაღლითობა და დოკუმენტების გაყალბება – **69%;**

ზ. პროსტიტუცია – **6.7;**

თ. სქესობრივ ნიადაგზე ჩადენილი სხვა დანაშაულობები – **0%;**

ი. განზრახ და გაუფრთხილებელი მკვლელობა – **13.2%;**

კ. სხეულის მძიმე და ნაკლებად მძიმე დაზიანებები – **3..2%.***

* ამ მონაცემებში ასახულია კრებითი დანაშაული პროცენტულად, ამიტომ მთლიანი მაჩვენებელ აჭარბებს 100%-ს.



სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის მონაცემებით, საქართველოში არის ქალთა სასჯელაღსრულებითი ერთი დაწესებულება – **ქალთა და არასრულწლოვანთა №5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულება**. ამჟამად ამ დაწესებულებაში იმყოფება **622 მსჯავრდებული**.

საქართველოში არის 3 სასჯელაღსრულების დაწესებულება, სადაც მამაკაც მსჯავრდებულებთან ერთად, შესაბამისად, მხოლოდ ქალთათვის განკუთვნილ საკნებში განთავსებულნი არიან პატიმარი ქალები. ესენია: **ქუთაისის №2 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება, ბათუმის №3 საპყრობილე და ზუგდიდის №4 საპყრობილე**.

- **ქუთაისის №2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება – 13 მსჯავრდებული ქალი;**
- **ბათუმის №3 საპყრობილე – 70 მსჯავრდებული ქალი;**
- **ზუგდიდის №4 საპყრობილე – 17 მსჯავრდებული ქალი.**



ისეთი სახის სასჯელაღსრულების დაწესებულება, სადაც ქალი მსჯავრდებულები იხდიან სასჯელს, საქართველოში არ არის. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ **გარდა ქუთაისის №2 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებისა, ქალთა საკნებს ქალ კონტროლიორებთან ერთად ემსახურებიან მამაკაცი თანამშრომლებიც**.

დეპარტამენტის ინფორმაციით, ქალ მსჯავრდებულთა **დაახლოებით 33.5%-ს** ჰყავს 5 წლამდე ასაკის შვილი. რაც შეეხება ჩვილ და მცირეწლოვან შვილებს, საპყრობილის რეჟიმში დაუშვებელია მათი ყოლა, რადგან იქ განთავსებულნი არიან პატიმრები, რომელთა მიმართ ჯერ არ დამდგარა სასამართლო განაჩენი. რაც შეეხება ქალთა და არასრულწლოვანთა №5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებას, იქ იმყოფებიან მსჯავრდებულები **ჩვილ ბავშვებთან ერთად**.



მსოლოდ ქალთა და არასრულწლოვანთა №5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში არის დედათა და ბავშვთა ცალკე ოთახები, რომლებიც განთავსებულია სასჯელაღსრულების დაწესებულების სამედიცინო ნაწილში. თითოეულ დედას აქვს ცალკე საცხოვრებელი ოთახი სველი წერტილით.

აღნიშნულ ვითარებას საქართველოს კანონმდებლობაში არეგულირებს საქართველოს კანონი "პატიმრობის შესახებ", რომლის 39-ე მუხლის თანახმად, "საჭიროების შემთხვევაში სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ეწყობა სპეციალური განყოფილება ფეხმძიმე ქალებისათვის და ბავშვებისთვის (ბავშვთა ბაგა-ბაღი) დედის შუამდგომლობით, მზრუნველობის ორგანოების ნებართვითა და ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, შეიძლება დედისა და სამ წლამდე ასაკის ბავშვისათვის ერთად ცხოვრების პირობების შექმნა".

დეპარტამენტი არ ფლობს ინფორმაციას, რამდენი ქალი მსჯავრდებულია, ვისაც ჰყავს 5-10 წლამდე და 10-16 წლამდე ასაკის შვილები.

აღნიშნულ მსჯავრდებულებს პაემანის უფლება თავის შვილებთან ეძლევათ **პატიმრობის შესახებ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც "მსჯავრდებულ ქალებს უფლება აქვთ, ჰქონდეთ თვეში არა უმეტეს ოთხი პაემნისა"**. საერთო წესის შესაბამისად **მსჯავრდებულთათვის განკუთვნილია მოკლევადიანი პაემანი სპეციალურად სასჯელაღსრულების დაწესებულების მიერ პაემნისათვის განკუთვნილ ადგილას**.

სამედიცინო მომსახურება

ქალ-პატიმართა სამედიცინო დაზღვევას როგორც დაწესებულების შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, ახორციელებდა სადაზღვევო კომპანია "ალდაგი BCI".

ქალ მსჯავრდებულებს დაწესებულების შიგნით უფლება აქვთ, ისარგებლონ სამედიცინო დახმარებით ზედამხედველის ან ციხის სხვა თანამშრომლის თანდასწრების გარეშე. დღეისათვის საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არიან ქალი მსჯავრდებულები, რომლებიც დაავადებულნი არიან სხვადასხვა სულიერი დაავადებებით:

1. ფსიქიური აშლილობა – **2**
2. დეპრესია – **1**
3. სხვა სულიერი დაავადებები – **2**



ზემოთ ჩამოთვლილი სულიერი დაავადებებით დასნეულებული ყველა პატიმარი განთავსებულია ქუთაისის №2 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში.

ქალ მსჯავრდებულთათვის სხვადასხვა დაავადებებისათვის გათვალისწინებული მკურნალობის პროგრამები ხელმისაწვდომია მხოლოდ **ქალთა და არასრულწლოვანთა საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებული ქალებისათვის.**

1. ნარკომანიით ან ალკოჰოლიზმით დაავადებულთათვის გათვალისწინებულია **ფსიქოსარეაბილიტაციო პროგრამა "ატლანტისი";**

2. **ტუბერკულოზით დაავადებულთათვის მოქმედებს ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დახმარებით (DOTS). ამასთანავე, ხორციელდება შიდსით დაავადებულთა პროგრამა.**

ტუბერკულოზით დაავადებულთა მკურნალობის პროგრამა DOTS-ში ჩართულია **50 ქალი ქალთა და არასრულწლოვანთა №5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში.**

<u>**განათლება და დასაქმების შესაძლებლობა**</u>

- ქალთა და არასრულწლოვანთა დაწესებულებაში თბილისის პროფესიული **სწავლების ცენტრ "სპექტრ"-ის** მიერ მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამა სსიპ, სადაც მსჯავრდებულები შეისწავლიან მკერავი და გამომჭრელი მოდელიორის სპეციალობას. შექმნილია 2 სასწავლო ჯგუფი 40 მსჯავრდებულის შემადგენლობით.

- **ასოციაცია "ქალი და ბიზნესი"-ს პროექტში "წამოიწყე საკუთარი ბიზნესი",** რომელიც დაიწყო 2008 წლის 15 სექტემბრიდან, ჩაბმული იყო 20 მსჯავრდებული. 2009 წლის 26 იანვრიდან დაიწყო მეორე ეტაპი, სადაც ჩაერთო 20 მსჯავრდებული. მიმდინარე წლის თებერვლიდან უნდა ამოქმედდეს მასაჟისტის, კოსმეტოლოგის, სტილისტის, მზარეულის მოსამზადებელი კურსები.

- 2008 წლის 13 ოქტომბრიდან 29 ნოემბრამდე მიმდინარეობდა კურსი "ტურიზმის მენეჯმენტი", რომელშიც ჩაბმული იყო 20 მსჯავრდებული, კურსის დასრულების შემდეგ გაცემულია შესაბამისი სერთიფიკატები.

- ფუნქციონირებს კომპიუტერის ჯგუფები, პირველ ჯგუფში ჩაბმული იყო 12 მსჯავრდებული (29.10.2008 – 26.11.2008 წწ.), მეორეში აგრეთვე 12 მსჯავრდებული (03.12.2008 – 29.12.2008 წწ.), 2009 წლის 26 იანვრიდან მიმდინარეობს სწავლება კომპიუტერის მესამე ჯგუფში, რის შემდეგაც სერთიფიკატები ერთად გაიცემა სამივე ჯგუფის კურსდამთავრებულებზე.

<u>**სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში შრომითი რეაბილიტაციის პროგრამაში მონაწილე ქალებისათვის შრომის ფულადი ანაზღაურება გათვალისწინებული არ არის.**</u>

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სამინისტროს სამხედრო აკადემიაში, ასევე საქართველოს შეიარაღებული ძალების ნებისმიერ სტრუქტურულ ქვედანაყოფში ჩარიცხვისას ქალთა მიმართ არავითარი შეზღუდვები არ არსებობს, არც რაიმე განსაკუთრებული კრიტერიუმებია დაწესებული. სამინისტროს სამხედრო აკადემიაში ჩარიცხვისას მისაღებ გამოცდებზე ქალებისთვის შემსუბუქებულია მხოლოდ ფიზიკური მომზადების ნორმატივები.

სამინისტროს სამხედრო აკადემიაში არ არის სპეციალური ქალთა ჯგუფები, სასწავლო პროცესი ხორციელდება მამაკაც მსმენელებთან ერთად. აქედან გამომდინარე, არ არსებობს არანაირი განმასხვავებელი სასწავლო დისციპლინები. მხოლოდ ფიზიხურ დისციპლინაში ხდება შეფასება შემამსუბუქებელი ნორმატივებით.

სამინისტროს სამხედრო აკადემიის ქალი კურსანტები მამაკაცებთან ერთად პრაქტიკულად, თანაბრად ირჩევენ სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო სპეციალობებს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეფასებით, საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში და სამინისტროს სამოქალაქო ოფისში გენდერული თანასწორობა არ არის დარღვეული. ქალები იგივე უფლებებით სარგებლობენ, როგორც მამაკაცები და მათთვის რაიმე განსხვავებული კრიტერიუმები არ არის დადგენილი.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, საქართველოს სახალხო დამცველი ზედამხედველობას უწევს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას და ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას. მისი საქმიანობის ერთ-ერთ აქტუალურ მიმართულებას წარმოადგენს ქალთა უფლებების დაცვა.

სახალხო დამცველის აპარატის აზრით, საქართველოში გენდერული თანასწორობის პრინციპების დასანერგად აუცილებელია რიგი საკანონმდებლო ცვლილებების გატარება და მოსახლეობის ცნობიერების გაზრდა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. სახალხო დამცველი, მისი მანდატიდან გამომდინარე, უფლებამოსილია, ქვეყნის მმართველ ორგანოებს მიმართოს რეკომენდაციით საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით და ასევე ადამიანის შელახული უფლებების გამოსწორების მოთხოვნით.

სახალხო დამცველის აპარატში საქართველოში არსებული გენდერული თანასწორობის მდგომარეობის შესწავლისა და ქალთა უფლებების დარღვევის აღმოფხვრის მიზნით მიმდინარეობს შემოსული განცხადებებისა და საჩივრების კლასიფიკაცია და ანალიზი, შესწავლა და შემდგომი რეაგირება; სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა და რეკომენდაციების შემუშავება; სახალხო დამცველი აქტიურად მონაწილეობს კანონების შემუშავების პროცესში სხვადასხვა არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, მონაწილეობს სახელმწიფო სამოქმედო გეგმების შემუშავებაში და ამ გეგმების შესრულების მონიტორინგში. წელიწადში ორჯერ საქართველოს სახალხო დამცველი პარლამენტს წარუდგენს ანგარიშებს, სადაც სპეციალური თავები ეთმობა საქართველოში გენდერული თანასწორობის, ოჯახური ძალადობისა და ტრეფიკინგის აღმოფხვრის საკითხებს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი მჭიდროდ თანამშრომლობს გენდერულ პრობლემატიკაზე მომუშავე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ჩართულია ძალადობასთან ბრძოლის ეროვნული ქსელის მუშაობაში, ახორციელებს ერთობლივ პროექტებს, ატარებს ერთობლივ კვლევებს და სხვ. აპარატში ძირითადად შემოდის განცხადებები ისეთ შემთხვევებზე, როგორებიცაა:

- ძალადობა ოჯახში (მსხვერპლის დაცვის მექანიზმების არასრულყოფილება, მსხვერპლთათვის თავშესაფრების ნაკლებობა, მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების არარსებობა)
- სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში პირობების გაუმჯობესება
- პატიმართა მიერ კანონით განსაზღვრული შეღავათებით სარგებლობის უფლების გამოუყენებლობა
- მოტაცება ცოლად მოყვანის მიზნით (ყოფით დონეზე ზოგჯერ ეს დანაშაულად არ ითვლება, პოლიციაც ზედმეტად მომთმენია ამ ძალადობის მიმართ და მოტაცება მთავრდება ოჯახებს შორის მოლაპარაკებით)
- გაუპატიურება
- ტრეფიკინგი

- სხვა.

როგორც წესი, სახალხო დამცველის აპარატს ყველაზე ხშირად (თვეში 11-17 შემთხვევა) დახმარებისთვის მიმართავენ ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალები, რომელთაც არსად არ აქვთ წასასვლელი და იძულებულნი არიან, დარჩნენ მოძალადესთან ერთ ჭერქვეშ, რაც ქმნის საშიშროებას, განმეორებით გახდნენ ძალადობის მსხვერპლი. სახალხო დამცველის აპარატის განმარტებით, ამას ემატება ისიც, რომ საზოგადოების ერთ ნაწილს ამ პრობლემის აღიარება უჭირს, ხოლო მეორე ნაწილი ამას აღიქვამს, როგორც პირად, ოჯახურ და არა როგორც მწვავე სოციალურ პრობლემას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში 2006-2008 წლებში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საქმეები არ განხილულა, სარჩელიც კი არ შესულა გენდერულ დისკრიმინაციასთან დაკავშირებით.

საკონსტიტუციო სასამართლო საზოგადოების ინფორმირებულობას კონსტიტუციური უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის ოფიციალური გზების შესახებ ახორციელებს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოცემული ბუკლეტებით **დაინტერესებული პირებისათვის,** ასევე ვებგვერდის საშუალებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლო

საქართველოს უზენაეს სასამართლოს 2009 წლამდე **არასოდეს უწარმოებია საქმეთა სისტემატიზაცია გენდერული ნიშნის მიხედვით.**

უზენაესი სასამართლოს მონაცემები:

I ინსტანციის სასამართლოების მიერ სსკ მუხლებით განხილული საქმეებისა და მსჯავრდებულთა რაოდენობის შესახებ მთელი საქართველოს მასშტაბით

მუხლი 137. გაუპატიურება



მუხლი 138. სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება



მუხლი 139. **სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება**



მუხლი 140. **სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან**



მუხლი 141. **გარყვნილი ქმედება**



მონაცემები

I ინსტანციის სასამართლოების მიერ ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებასთან დაკავშირებით განხილული ადმინისტრაციული დავების შესახებ (2007 წელი)

რაიონები	შემოვიდა	განხილულია გადაწყვეტილების გამოტანით	მათ შორის დაკმაყოფილდა	შეწყდა	დატოვებულია განუხილველად
თბილისი	141	137	134	1	2
ბათუმი	18	18	18		
გორი	10	9	6		2
რუსთავი	22	21	21		1
ქუთაისი	2	2	2		
ახალციხე	1	1	1		
ზესტაფონი	2	2	2		
ზუგდიდი	1	1	1		
თერჯოლა	3	3	2		
ლაგოდეხი	1				1
მარნეული	1	1	1		
მცხეთა	2	2			
სულ	204	197	188	1	6



თბილისი



საქართველოს ქალაქები



საქართველოს ქალაქები



მონაცემები I ინსტანციის სასამართლოების მიერ ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებასთან დაკავშირებით განხილული ადმინისტრაციული დავების შესახებ (2008 წელი)

რაიონები	შემოვიდა	განხილულია გადაწყვეტილების გამოტანით	მათ შორის დაკმაყოფილდა	შეწყდა	დატოვებულია განუხილველად
თბილისი	141	137	134	1	2
ბათუმი	18	18	18		
გორი	10	9	6		2
რუსთავი	22	21	21		1
ქუთაისი	2	2	2		
ახალციხე	1	1	1		
ზესტაფონი	2	2	2		
ზუგდიდი	1	1	1		
თერჯოლა	3	3	2		
ლაგოდეხი	1				1
მარნეული	1	1	1		
მცხეთა	2	2			
სულ	204	197	188	1	6



თბილისი



საქართველოს ქალაქები



საქართველოს ქალაქები



თბილისის სააპელაციო სასამართლო

თბილისის სააპელაციო სასამართლოს შესაბამის საარქივო მასალებზე დაყრდნობით, 2006-2008 წლებში სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეების სტატისტიკური მონაცემები (დანაშაულის სახეობათა მიხედვით) შემდეგია:

გაუპატიურება

2006	2007	2008
10	8	23

უკანონო თავისუფლების აღკვეთა

2006	2007	2008
3	24	24

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

2007	2008
9	12

განქორწინება

2006	2007	2008
29	38	40

მშობლის უფლების ჩამორთმევა

2006	2007	2008
2	4	2

ალიმენტი

2006	2007	2008
49	50	40



რაც შეეხება დანარჩენ გამოთხოვილ სტატისტიკურ ინფორმაციას, სააპელაციო სასამართლომ გვაცნობა, რომ **გარკვეული კატეგორიის საქმეებზე დაწვრილებითი მონაცემების გაცემისათვის საჭიროა ზემოაღნიშნულ საქმეთა გამოთხოვა, სისტემატიზაცია და საარქივო დამუშავება, რაც მოითხოვს საკმაოდ დიდ დროს**. სასამართლოს პასუხში ხაზგასმულია, რომ "სააპელაცო სასამართლო თავის საქმიანობას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. შესაბამისად, სასამართლოს აპარატი დაკავებულია სასამართლოსათვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებისა და მის წინაშე არსებული ამოცანების შესრულებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, **ამ ტიპის საქმეთა დამუშავება** და ამ მიზნით **სასამართლოს ადმინისტრაციული პერსონალის ძირითადი რესურსების მობილიზება** ამ ეტაპზე **არ წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს საქმიანობისათვის აუცილებელ საჭიროებას**."

თბილისის საქალაქო სასამართლო

სამოქალაქო სამართალწარმოება

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სამართალწარმოების კოლეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეუღლეთა შორის განქორწინების შესახებ დავებს, ასევე წარმოებს დავები ბავშვის საცხოვრებელი ადგილისა და ბავშვის ნახვის დღეების განსაზღვრის, ალიმენტის დაკისრების და ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების თანამესაკუთრედ ცნობის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007-2008 წლებში ქორწინების შეწყვეტის მოთხოვნით მიმართა 1859 მოქალაქემ.

	მამაკაცი		ქალი	
2007 წელს სულ შემოსულია 1161 სასარჩელო განცხადება განქორწინების შესახებ	417	36%	744	64%
2008 წელს სულ შემოსულია 698 სასარჩელო განცხადება განქორწინების შესახებ	258	37%	440	63%



1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007-2008 წლებში მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ განცხადებით მიმართა სულ 21 მოქალაქემ და ერთ შემთხვევაში თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა. მათგან დაკმაყოფილდა სულ 5 სასარჩელო განცხადება. ხუთივე შემთხვევაში მამაკაცს ჩამოერთვა მშობლის უფლება.

	მამაკაცი		ქალი	
2007 წელს სულ შემოსულია **8** განცხადება მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ, დაკმაყოფილდა **2**	2	100%	-	0%
2008 წელს სულ შემოსულია **14** განცხადება მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ, დაკმაყოფილდა **3**	3	100%	-	0%



სისხლის სამართლის საქმეები

სქესობრივი დანაშაული	**2006**	**2007**	**2008**
რამდენი საქმე იქნა განხილული	33	23	42
რამდენი საქმე დასრულდა საპროცესო შეთანხმებით	6	13	26
რამდენ საქმეზე იქნა გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი	32	21	39
ა) ქალის მიმართ			
ბ) მამაკაცის მიმართ	32	21	39
რამდენ საქმეზე იქნა გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი			1
რამდენ განსასჯელს შეეფარდა პირობითი მსჯავრი	11	12	20
რამდენს შეეფარდა სასჯელის სახით ჯარიმა			
რამდენს შეეფარდა სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა	22	12	22
როგორია ამ დანაშაულების გენდერული მაჩვენებელი			
ა) 18 წლამდე	-	-	-
ბ) 18 წელს ზემოთ	-	-	-

სქესობრივი დანაშაულები



გაუპატიურება	2006	2007	2008
რამდენი საქმე იქნა განხილული	23	14	20
არასრულწლოვნის მიმართ	3	2	1
ორსული ქალის მიმართ			
ცოლად შერთვის მიზნით			1
რამდენი საქმე დასრულდა საპროცესო შეთანხმებით	6	7	14
რამდენ საქმეზე იქნა გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი	23	14	17
რამდენ საქმეზე იქნა გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი			1
რამდენ განსასჯელს შეეფარდა პირობითი მსჯავრი	6	8	7
რამდენს შეეფარდა სასჯელის სახით ჯარიმა			
რამდენს შეეფარდა სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა	14	8	11
როგორია ამ დანაშაულების გენდერული მაჩვენებელი			
ა) 18 წლამდე	-	-	-
ბ) 18 წელს ზემოთ	-	-	-